2-7096/26
02-06-2026

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს

საქართველოს პარლამენტის დიასპორის კომიტეტის
დასკვნა
“საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ (1-5150/26; 29.05.2026) შესახებ

საქართველოს პარლამენტის დიასპორის კომიტეტმა, 2026 წლის 2 ივნისის კომიტეტის სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 142-ე მუხლის საფუძველზე, მოისმინა “საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში” (1-5150/26; 29.05.2026).

რეგიონში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები გადაჭარბებით არის შესრულებული და შეადგინა 23,991,752.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100,7 %-ია.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიასპორული პოლიტიკის (28 01 04) განსახორციელებლად 2025 წელს გამოყოფილი ასიგნებები (1 464 000 ლარი) თითქმის სრულად აითვისა და გეგმის შესრულებამ შეადგინა 99,8 %.

“საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ მიმართ კომიტეტის წევრების მხრიდან შენიშვნები არ გამოთქმულა და მხარი დაუჭირეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მის განხილვას.

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი
მოადგილე
გივი ჭიჭინაძე